მოკლე მიმოხილვა

ქალები ხელისუფლებაში და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე საქართველოში

გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხი კი არ არის, არამედ ინკლუზიური მმართველობის ფუნდამენტს წარმოადგენს. ქალთა გაძლიერება, მათი პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვისა და ლიდერის როლების შესრულების მიზნით, მრავალფეროვანი საზოგადოების სრული პოტენციალის რეალიზებას უზრუნველყოფს, რაც უფრო ეფექტური და სწორი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს. **გენდერულად დაბალანსებული ლიდერობა კიდევ მეტად ამაღლებს ლეგიტიმურობას, ნდობას და ანგარიშვალდებულებას, რაც საბოლოო ჯამში დემოკრატიულ ინსტიტუტებს აძლიერებს და გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესს უზრუნველყოფს ყველა სექტორში.**

ქალთა წარმომადგენლობა დაბალია პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წელს გენდერული კვოტირების შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. თუმცა, ეს დადებითი ტენდენცია, სავარაუდოდ უარყოფითისკენ შეიცვლება 2024 წელს სავალდებულო გენდერული კვოტების გაუქმების გამო.[1]

პარლამენტში ქალი დეპუტატების წილი შესამჩნევად გაიზარდა და 2023 წელს 19 პროცენტი შეადგინა, 2019 წლის 14 პროცენტთან შედარებით (დიაგრამა 1).[2] თუმცა, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება ქალების წილის გლობალური მაჩვენებელს პარლამენტში - 26.5 პროცენტს (დიაგრამა 2).[3]

დიაგრამა 1:
დეპუტატ ქალთა წილი, 2016–2022 წწ. (პროცენტი)



წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

დიაგრამა 2:
დეპუტატ ქალთა წილი რეგიონების მიხედვით - 2023 წ. (პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და IPU, 2023. „ქალები პოლიტიკაში: 2023წ.“

გენდერული კვოტირების შემოღებამ საგრძნობლად გაზარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულ ქალთა წილი და 2017 წლის 13.8 პროცენტიდან 2021 წელს 24 პროცენტამდე ავიდა. ქალებმა მნიშვნელოვან წარმატებას პროპორციული სიით გასულ კანდიდატთა შორისაც მიაღწიეს და 2017 წელს დაფიქსირებულ 19.8 პროცენტთან შედარებით, 2021 წელს მანდატების 31.4 პროცენტი მოიპოვეს (441) (დიაგრამა 3). 2017 წელთან შედარებით, როცა მერად მხოლოდ ერთი ქალი იქნა არჩეული, ოდნავ უფრო პროგრესული აღმოჩნდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელშიც სამმა ქალმა გაიმარჯვა. მათ შორის, ერთი ქალი ხუთი თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთის მერი გახდა (კანდიდატთა შორის მხოლოდ 17 პროცენტი იყო ქალი), ხოლო ორმა ქალმა 59 თვითმმართველ თემში მიმდინარე არჩევნებზე გაიმარჯვა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატთა შორის ყველაზე მეტი რაოდენობის ქალი თბილისის მერის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს. დანიშნულ ცხრა სახელმწიფო რწმუნებულს შორის კი არც ერთი ქალი არ იყო.[4]

დიაგრამა 3:
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულ ქალთა წილი საარჩევნო წლის მიხედვით (პროცენტი)



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) 2022წ.

ქალთა წარმომადგენლობა დაბალია გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საჯარო სამსახურში.

2023 წლის დასაწყისისთვის, **12 მინისტრიდან** (პრემიერ მინისტრის გარდა, რომელიც ასევე კაცი იყო) **მხოლოდ ორი** (17 პროცენტი) იყო ქალი, რაც ნაკლებია 2021 მაჩვენებელთან შედარებით, როცა ქვეყანას ოთხი ქალი მინისტრი ჰყავდა.[5] ქალები სათანადო რაოდენობით არც მინისტრის მოადგილეების დონეზე არიან წარმოდგენილნი. მაგალითად, თუ 2021 წელს მინისტრის მოადგილეებს შორის **26 პროცენტი** ქალი იყო, 2023 წლისთვის მათი წილი **23.5 პროცენტამდე** შემცირდა.

დიაგრამა 4:
მინისტრებისა და მინისტრის მოადგილეთა განაწილება, სქესის მიხედვით, 2023 წელს

სამინისტრო	მინისტრი		მინისტრის მოადგილე	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი		1	2	1
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1		1	1
იუსტიციის სამინისტრო	1		4	1
შინაგან საქმეთა სამინისტრო	1		4	
თავდაცვის სამინისტრო	1		4	1
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	1		5	2
საგარეო საქმეთა სამინისტრო	1		4	1
ფინანსთა სამინისტრო	1		4	1
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1		2	1
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1		1	2
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1		4	1
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო		1	3	
ჯამი	**10**	**2**	**39**	**12**

წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) 2022წ.

საქართველოს საჯარო სამსახურში ქალების რაოდენობა საჯარო მოხელეებს შორის, დაახლოებით, მესამედს შეადგენს - შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ჩათვლით - და 59 პროცენტს - შსს-ს გამოკლებით. I და II რანგის მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წილი 43 პროცენტია (დიაგრამა 5), ხოლო I რანგის მენეჯერულ პოზიციებზე - 34 პროცენტი. თუმცა, გენდერული ბალანსის ჭრილში, გენდერული განსხვავება მნიშვნელოვნად იზრდება ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე: საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის, ქალთა რაოდენობა მხოლოდ 9 პროცენტია, ხოლო საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელის მოადგილეებს შორის - 15 პროცენტი. ამ მონაცემების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქალთა მონაწილეობა საჯარო სამსახურში შედარებით გაიზარდა (2018 წელს I და II რანგის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების წილმა 39 პროცენტი შეადგინა, 2022 წელს კი - 43 პროცენტი), საჯარო სამსახურში უმაღლეს თანამდებობებზე თითქმის ექსკლუზიურად კაცები ინიშნებიან. უფრო მეტიც, უახლესი მონაცემები აჩვენებს, რომ ქალთა წარმომადგენლობა შესამჩნევად შემცირდა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელების დონეზე. კერძოდ, თუ 2019 წელს ეს მაჩვენებელი 15 პროცენტი იყო, 2022 წელს ქალთა წილი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის 9 პროცენტამდე შემცირდა.[6]

დიაგრამა 5:
ქალების წილი საჯარო სამსახურში I და II რანგის პოზიციებზე, საჯარო სამსახურების უფროსებში და უფროსების მოადგილეებში, 2022 (პროცენტი)



წყარო: საჯარო სამსახურის ბიურო.

კვლავ დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობა საჯარო მოხელეებს შორის. შშმ დასაქმებულთა შორის მხოლოდ 0.30 პროცენტი არის ქალი და 0.16 პროცენტი კაცი. უფრო მეტიც, 2022 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჯარო მოხელე ქალებსა და კაცებს შორის მენეჯერული თანამდებობა მხოლოდ 23 პროცენტს ეკავა.[7]

არსებული სტერეოტიპების მიუხედავად, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას პოლიტიკაში.

ბოლოდროინდეი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (57 პროცენტი და მეტი) პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრის, პარლამენტის თუ მთავრობის წევრის არჩევისას სქესს მნიშვნელობას არ ანიჭებს. თუმცა მათგან, ვისთვისაც კანდიდატის სქესს მნიშვნელობა აქვს, უმრავლესობა ყველა ამ პოზიციაზე კაცს ანიჭებს უპირატესობას.[8]

დიაგრამა 5:
ვის კანდიდატურას დაუჭერდით მხარს შემდეგ თანამდებობებზე, იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატების სხვა ყველა მახასიათებლები ერთი და იგივეა?



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და CRRC - საქართველო, 2024.

ყოველ მეოთხე ადამიანს საქართველოში (27 %) მიაჩნია, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართულობას ყველაზე მეტად აბრკოლებს გავრცელებული ტრადიციული შეხედულებები ქალის და კაცის როლის შესახებ საზოგადოებაში.

გავრცელებული სტერეოტიპების მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობა უფრო მეტი ქალის ჩართულობას პოლიტიკაში დადებითად უყურებს:

63% თვლის, რომ მეტი ქალის ჩართვა პოლიტიკაში ქვეყანას სარგებეს მოუტანს.

65% თვლის, რომ ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებზე მეტი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას მისცემს.[9]

ქალთა მიმართ ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების მონაწილეობას პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

ქალი კანდიდატების ნახევარზე მეტს (54 პროცენტს) ძალადობის და შევიწროების სხვადასხვა ფორმა განუცდია თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ან პოლიტიკური კარიერის მანძილზე და ეს ინციდენტები ხშირად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი კაცების მონაწილეობით ხდებოდა.[10] საგანგაშოა ის, რომ ძალადობა-გამოვლილი პირების ნახევარზე მეტმა (52 პროცენტმა) ამის შესახებ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოს ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა ხელისუფლების მიმართ უნდობლობა, საკუთარი თავის, ან თავისი პარტიის რეპუტაციის შელახვის შიში ან რწმენა, რომ მათი შეტყობინება სერიოზულად არ იქნებოდა აღქმული.[11]

დასაქმების ადგილას სექსუალური შევიწროება ჯერ კიდევ გავრცელებულია საქართველოში, მათ შორის საჯარო სექტორშიც.

საჯარო მოხელეთა დაახლოებით მესამედი (34 პროცენტი), ხოლო მათ შორის კაცების 20 და ქალების 41 პროცენტი აცხადებს, რომ სამსახურში სექსუალური შევიწროება განუცდიათ.[12] 2018 წლიდან მოყოლებული, ბევრმა სამინისტრომ თუ სახელმწიფო უწყებამ, მათ შორის, თავდაცვის სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირებისთვის შიდა მექანიზმები შეიმუშავა და დანერგა. თუმცა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების მიმართ კონკრეტულ მექანიზმებს, როგორიცაა ვთქვათ, სავალდებულო შიდა პოლიტიკა ან/და თანამშრომლების გადამზადება, არ ითვალისწინებს.

ძირითადი რეკომენდაციები:

- გენდერული საკითხების მიმართ კარგად განსაზღვრული შიდა პოლიტიკის დამკვიდრება პოლიტიკურ პარტიებში: პოლიტიკაში ქალების მხარდაჭერა და გაძლიერება ისეთი საკითხების მოგვარებით, როგორიცაა ძალადობა და სექსუალური შევიწროება. სამიზნეების დადგენა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობისთვის. მექანიზმების შექმნა მათი წარმოჩენისა და წინსვლის ხელშესაწყობად პარტიაში. გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება.
- ყოვლისმომცველი კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავება ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით: გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალებისა და კაცების თანაბარი, 50-50 პროცენტიანი წარმომადგენლობის მიღწევა. ქალთა სტატუსის კომისიის სამოცდამეხუთე სესიაზე დასახულ მიზნებთან შესაბამისობა.

- საჯარო სამსახურში ქალთა წარმომადგენლობის სტაგნაციის დაძლევა: სტრატეგიების განხორციელება იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რაც ქალებს წინსვლაში ხელს უშლის. თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა კარიერული წინსვლის, მენტორობის და გადამზადების პროგრამებისთვის. ქალების გაძლიერება საჯარო სექტორში ხელმძღვანელის ფუნქციების განსახორციელებლად.
- ზომების მიღება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციისთვის: ფოკუსირება ფსიქოლოგიურ ძალადობასა და შევიწროებაზე სოციალურ მედიაში. გენდერულად მგრძნობიარე ინსტიტუტების და საკანონმდებლო ორგანოების შექმნა, რომელთა მეშვეობით ქალები თავიანთი პოლიტიკური უფლებების განხორციელებას შეძლებენ, დაშინების ან ზიანის საფრთხის განცდის გარეშე.
- საკანონმდებლო ცვლილებების მიღება სექსუალური შევიწროების შესახებ: საკანონმდებლო ცვლილებებმა უნდა დაავალდებულოს საჯარო დაწესებულებები - დანერგოს შიდა მექანიზმები სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის, და ასევე, უზრუნველყოს თანამშრომელთა სავალდებულო გადამზადება სექსუალური შევიწროების საკითხზე.

სქოლიო

1. საქართველოს პარლამენტი, „პარლამენტმა გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო“, 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/2bhf5.
2. იქვე.
3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU). „ქალები პოლიტიკაში: 2023.“ 2023. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2023/03/women-in-politics-map-2023.
4. საქართველოს მთავრობა, „სახელმწიფო რწმუნებულები“. ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=373.
5. საქართველოს მთავრობა, „მთავრობის წევრები“. ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27.
6. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასება“, მოკლე ინფორმაცია, 2023. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2023/09/sajaro-samsakhuris-shesakheb-sakartvelos-kanonis-genderuli-zegavlenis-shepaseba.
7. გსაჯარო სამსახურის ბიურო, „2021 წლის სტატისტიკა საჯარო სამსახურში“. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/HX3iL.
8. გაეროს ქალთა ორგანიზაცია და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC). 2024. “გამოკითხვა გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულებებზე” (მზადდება).
9. იქვე.
10. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, მოკლე ინფორმაცია, 2023. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2023/08/violence-against-women-in-politics-in-georgia.
11. იქვე.
12. გაეროს ქალთა ორგანიზაცია და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში“, 2021. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2021/09/workplace-sexual-harassment-in-the-civil-service-in-georgia

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი 4, 0179
თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70
www.unwomen.org
georgia.unwomen.org